| | დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი; საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია; მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში. საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.<br>სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. მის შემადგენლობშია 8 წევრით. მშობელთა და მოსწავლეთა ინიციატივები გათვალისწინებულია სკოლის მართვაში.<br>მშობლების ინფორმირებისათვის გამოიყენებენ ინდივიდუალურ გასაუბრებას, მშობელთა კრებებს, ელექტრონული შეტყობინებებს, სატელეფონო საუბრებს, სკოლის ვებგვერდს, ელფოსტას და სხვა. მშობელთა გამოკითხვები გათვალისწინებულია სკოლის მონიტორინგის მექანიზმებშიც. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები(დოკუმენტები, ინტერვიუ და სხვა). |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ბრძანებით შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესში პერსონალის, მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირების მეთოდების დამტკიცების შესახებ #10-27/02/2020.<br>• სადამრიგებლო პროგრამებით<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრებით<br>• სკოლის დათვალიერებით<br>• სკოლის ვებგვერდით : http://www.americanhighschool.edu.ge |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკოლაში მონიტორინგს ახორციელებს ხაირისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელიც შესაბამის რეკომენდაციებსა და სამოქმდო გეგმას წარუდგენს სკოლის მმართველს ყოველი სემესტრის ბოლოს. ხარისხის ზრუნველყოფის მენეჯერის მონიტორინგი ხორციელდება სწავლისა/სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. ის ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებულ კვლევებს, ასევე დაკვირვებისა და კვლევის საფუძველზე ადგენს |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პედაგოგთა პროფესიული განვითარების საჭიროებებს, გეგმავს მათი განვითარებისათვის საჭირო აქტივობებს. აანალიზებს შემაჯამებელი სამუშაოების სემესტრულ და წლიურ შედეგებს კათედრების დახმარებით, ორგანიზებას უწევს საგნობრივ ტესტირებებს, რეიტინგულ წერებსა და გამოცდების მიმდინარეობას სასწავლო პროცსის მენეჯერთან ერთად. დამუშავებულ მონაცემებს წარუდგენენ სკოლის მმართველს. სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია შემდეგი მონიტორინგის ფორმები:<br><br>ა)სასკოლო დიაგნოსტიკური წერები, რომლითაც მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, კონკრეტულ საგანში მისაღწევი შედეგების გაზომვა;<br><br>ბ)სასკოლო დოკუმენტაციის (კათედრების, დამრიგებლების, მასწავლებლების სამოქმედო გეგმებისა და სხვ. ) შემოწმება.<br><br>გ) სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული სპეციალური კითხვარებით.<br><br>სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები, ასევე მრავალფეროვანი ანკეტა-კითხვარები .<br><br>სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმეგანავითარე“ ციკლის შესაბამისად (PDCA პრინციპით). პროცედურებში დეტალურადაა |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღწერილი თითოეული ეტაპის შესაბამისი აქტივობები. სკოლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზისათვის სკოლა იყენებს SWOT ანალიზს, რომლის საფუძველზეც შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას და შეაქვს ცვლილებები სკოლის სტრატეგიულ განვითარებაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები(დოკუმენტები, ინტერვიუ და სხვა).<br><br>• სასკოლო სასწავლო გეგმით<br>• #17-27/02/2020 ბრძანებით (შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯის პროგრესი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგებისა და შეფასების ანკეტა-კითხვარების დამტკიცების შესახებ).<br>• სკოლის სტრატეგიული ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმებით.<br>• ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და სკოლის მმართველთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| რეკომენდაციები: | ☐ კათედრების ოქმები და გარკვეული ანგარიშები არ იყო დამოწმებული სველი ხელმოწერით და შემოიფარგლებოდა მხოლოდ ბეჭდური ფორმით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ეს დოკუმენტაცია აწარმოოს დოკუმენტაციის წარმოების წესების შესაბამისად. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | - სასურველია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა მაქსიმალურად მიაწოდონ მოსწავლეებს კომპლექსურ უნარებზე ორიენტირებული შემაჯამებლები (პროექტი, კვლევა, რეფერატი, პრეზენტაცია, როლური თამაში, დებატები, იმიტირებული პროცესები, თხზულება, ბეჭდური გამოცემები, ბლოგი, ექსპერიმენტი და სხვა). ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების მიხედვით არაქართულენოვან მოსწავლეებს შეიძლება შესთავაზონ როლური კითხვა, როლური თამაში, კომიქსები, ლექსიბრილიანტი და სხვა ტიპის სახალისო დავალებები. ასევე შესაძლებელია გამოიყენონ თამაში, როგორც შემაჯამებელი სამუშაო (სამაგიდო თამაშები, ციფრული ონლაინ და ოფლაინთამაშები). |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 2052.30 კვ | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: 2052.30 კვ | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი წარმოადგენს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც განთავსებულია ოთხსართულიან შენობაში. დაწესებულებას აქვს, კეთილმოწყობილი შიდა ეზო სპორტული მოედნით. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, კვების ობიექტით.<br><br>დაწესებულების მატერიალური ბაზა აძლევს მოსწავლეებს სწავლისა და დასვენების საშუალებას.<br><br>სკოლას აქვს, თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლის პერსონალი დაინტერესებულია მატერიალური ბაზის მოვლა პატრონობით და ზრუნავს მუდმივ განახლებაზე. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შენობა ნაგებობა დაწესებულებას იჯარით აქვს აღებული, გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება მეიჯარესთან, |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქი თბილისი, ანა პოიტკოვსტკაიას ქუჩა N39 ა |
| მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | 01.14.05.005.068; |
| კვ.მ. | 2052.30კვ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • ამონაწერით საჯარო რეესტრიდან N88202003998<br>• საკადასტრო კოდით N01.14.05.005.068<br>• ნაკვეთისა და მასთან დაკავშირებული შენობა -ნაგებობების საინვენტარიზაციო გეგმით (აზომვითი ნახაზი)<br>• 2020 წლის 6 იანვრის საიჯარო ხელშეკრულებით |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით, | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის სასწავლო კორპუსი ოთხსართულიანია. შენობაში არის 20 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია - ბიოლოგია ფიზიკა და ქიმიის ლაბორატორია, ადმინისტრაციის ოთახი, სასწავლო ნაწილის , ხარისხის მართვის მენეჯერის, ბუღალტრის ოთახი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, კვების ბლოკი, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა.<br>კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც მესამე სართულზეა განლაგებული აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, სადაც დგას 9 პერსონალური კომპიუტერი, 17 ნეთბუქი, შესაბამისი მაგიდებით და სკამებით. ასევე ორი ჭკვიანი მაგიდა და ტელევიზორი.<br>ადმინისტრაციული ოთახები აღჭურვილია კომპიუტერებით, ნეთბუქებით და პრინტერებით .<br>ყველა საკალასო ოთახში დგას ერთადგილიანი მერხები , სკამები, ინდივიდუალური კარადა, მასწავლებლის მაგიდა, სკამი, თეთრი დაფა, კომპიუტერი, მონიტორი/პროექტორი, ზოგიერთ საკლასო ოთახში დამონტაჟებულია ჭკვიანი დაფა.<br>ვიზულური დათვალიერებით და დოკუმენტებით დგინდება რომ სკოლაში არის 585 ინდივიდუალური მერხი და 675 სკამი, 40 მარკერის და 17 კორპის დაფა.<br>სკოლის შენობის მეორე სართულზე მდებარეობს ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია სკოლის წიგანდი ფონდი, შესაბამისი ინვენტარით და კომპიუტერით. მეორე სართულზეა სამედიცინო კაბინეტიც. მეოთხე სართულზე საუნებისმეტყველო ლაბორატორია და საკონფერენციო დარბაზი შესაბამისი თანამედროვე აღჭურვილობით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ☐ ვიზუალური დათვალიერებით |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სასაქონლო ზედნადებებით<br>• საბუღალტრო პოგრამა ORIS- ის ამონაწერით<br>• საბანკო გადარიცხვების დოკუმენტებით<br>• ნასყიდობის ხელშეკრულებით 21.03.2018 წელი და 11.04.2018 წელი |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა ფლობს შიდა 70 კვ.მ სპორტულ დარბაზს, რომელშიც განთავსებულია ტენისის მაგიდა. სპორტული ინვენტარი. სკოლას შიდა ეზოში აქვს 200 კვ მეტრი ფართობის სპორტული მოედანი. დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლა სისტემატიურად ყიდულობს და აახლებს სპორტულ ინვენტარს ( კალათბურთის ბურთები, ფეხბურთის ბურთები, ჭადრაკის დაფები,ლეიბები, ფიშკები,სახტუნაო, ჰულაჰუპი ტატამი, ტანვარჯისის ბურთი, მედლები და თასები) სკოლის შენობას აქვს ეზო, რომელიც ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მცირე სპორტულ მოედნად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• საბუღალტრო პოგრამა ORIS- ის ამონაწერით |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ......................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს შენობის მეოთხე სართულზე განთავსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ონკანები და გამწოვი კარადა. სკოლას აქვს ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის სასკოლო ლაბორატორიის სრული კომპლექტი (208 დასახელება). სკოლა რეგულარულად ყიდულობს ქიმიურ რეაქტივებს და ლაბორატორიისთვის საჭირო მასალას, რაც უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო საგნებში მრავალფეროვანი და კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის წარმართვას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ზედნადები 23.08.2017 წელი<br>• ნასყიდობის ხელშეკრულება 28.07.2017 წელი<br>• ინვოისი 26.07.2017 წელი N001 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა უზრუნველყოფილია წყლისა და ელექტროენერგიის , ბუნებრივი აირის უწყევიტი მიწოდებით. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალული გათბობა. პირველ სართულზე არის სველი წერტილები: 1 ადაპტირებული სველი წერტილი , 1 პერსონალისთვის და 1 ბიჭებისთვის. სველი წერტილებია ასევე (ცალ-ცალკე გოგონებისთვის და ვაჟებისთვის) სკოლის მეორე, მესამე და მეოთხე სართულზე. თითოეულ საპირფარეშოში ორ-ორი კვანძია.<br>სკოლის, როგორც შიდა ასევე გარე პერიმეტრზე დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები.<br>საკლასო ოთახებში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• გადახდის ქვითრებით; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით |
|---|

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შესყიდვების დოკუმენტით დასტურდება რომ სკოლაში არის 1405 წიგნი, მათ შორის არის საკითხავი ლიტერატურა და გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. სკოლას აქვს ელექტრონული კატალოგი, რომლის საშაულებითაც ხდება საკითხავი ლიტერატურის ან სასწავლო სახელმძღვანელობის მიღება-ჩაბარების წარმოება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შესყიდვების დოკუმენტით;<br>• საინვენტარო წიგნით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი პირველ სართულზე, მოძრავი პანდუსები სკოლის შესასვლელში და ადაპტირებული კიბეები - პანდუსებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ☐ ვიზუალური დათვალიერებით; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს 27 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, 17 ნეთბუკი და 12 ლეპტოპი, რომელებიც გამოიყენება სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის. (სპეციფიკაციები , ერთი კომპიუტერი - 20 მოსწავლეზე მეტი) ინტერნეტით სარგებლობის საფასურს უზრუნველყოფოს სკოლის მეიჯარე. სკოლას აქვს ვებ გვერდი - http://www.americanhighschool.edu.ge , რომელიც აქტიურია და მუდმივად ახლდება ინფორმაციები. სკოლაში საკომუნიკაციოდ გამოიყენება ელექტრონული ფოსტა , რომლის მისამართია : americanschoolprogress@gmail.com |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• სასაქონლო ზედნადებებით;<br>• სკოლის ვებ-გვერდით http://www.americanhighschool.edu.ge<br>• 2020 წელის 9 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება შპს ,,ახალ ქსელებთან''<br>• მიღება-ჩაბარების აქტებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა სართულზე, განთავსებულია 2-2 ცეცხლმაქრი ( სულ ცხრა ერთეული) საკლასო ოთახებში და სკოლის ფოიეში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• მიღება ჩაბარების აქტით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა სართულის თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც დამოწმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ……………………………………

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ……………………………………………………

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ……………………………

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ☐ ვიზუალური დათვალიერებით; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, კაბინეტი განთავსებულია შენობის მეორე სართულზე, სკოლას ემსახურება ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს და პერსონალს უწევს პირველად სამედიცინო დამარებას. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, სამედიცინო კაბინეტში არის პირველადი დახმარების მედიკამენტები. სკოლის ექთანი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში შემოსული მოსწავლეების მონაცემებს. აღწერს ჩივილებს და გაცემულ მედიკამენტებს. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ხელშეკრულება<br>• სასაქონლო ზედნადები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს შემუშავებული წესრიგის დაცვის მექანიზი, პირველ სართულზე განთავსებულია დაცვის ოთახი, საიდანაც კონტროლდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულებას აყვანილი ჰყავს ორი თანამშრომელი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის შემუშავებული დოკუმენტი<br>• ხეშეკრულებები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს |
|---|

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა უზრუნველყოფილია ვიდეო სათვალთვალო მექანიზებით, სკოლის გარე პერიმეტრი კონტროლდება 4 კამერით, რომლებიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარეპერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგანსაქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესს. სკოლის შიდა პერიმეტრი თითოეული სართული და კიბის უჯრედი კონტროლდება. გარდა ამისა კონტროლირებადია სკოლის სპორტული დარბაზიც.<br>სკოლაში სულ არის 29 კამერა, რომელთაგან 4 აკონტროლებს გარე პერიმეტრს სრულიად, დანარჩენი კი აკონტროლებს სკოლის შიდა პერიმეტრს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• სასაქონლო ზედნადებებით;<br>• ხელშეკრულებით<br>• მიღება ჩაბარების აქტით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...............................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...............................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შემუშავებული სკოლის წესდება და შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს გადაწყვეტილების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურებს. შინაგანაწესი არეგულირებს დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობებს, მიღების წესს, სასწავლო და სამუშაო დროს. მოსწავლის სკოლაში მიღების და კლასიდან კლასში გადაყვანის წესს. მოსწავლეთა და თანამშრომელთა ქცევის /ეთიკის ნორმებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდება;<br>• სკოლის შინაგანაწესი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლამ წარმოადგინა 2017-2023 წლის სტრატეგიული განვითარების (გრძელვადიანი) გეგმა , რომელიც ითვალისწინებს ,სასწავლო პროცესის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას განსაკუთრებით ინგისური ენის სწავლებისა და საბუნებისეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლების მიმართულებით. გარდა ამისა სკოლა ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე და კათედრების გაძლიერებაზე. სკოლას დაგეგმილი აქვს განავითაროს მონიტორინგის სისტემა, რომელის მიზანი იქნება სკოლაში სწავლა სწავლების პროცესის კიდევ უფრო გაძლიერება. ორიენტირებულია ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს მაღალი სამოქალაქო თვითშეგნება, სტრატეგიულ გეგმაში დეტალურადაა დაწესებულების მიზნები ( გაზომვადი და რეალისტურია), მიზნის მიღწევის გზები, შესაძლებლობები და რისკები. სკოლას წინა წლის SWOT ანალიზის საფუძველზე შემუშავებული აქვს ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურადაა გაწერილი სტრატეგიები, რომელიც გულისხმობს სკოლის სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესება-გაძლიერებას, სკოლის ინფრასტრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების განახლებას, ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობას. . |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>• ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა<br>• ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა აწარმოებს გამოცემული ბრძანებების, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალებს. რეგისტრაციაში ტარდება ყველა გამოცემული აქტი, რომელსაც მიმართულება ეძლევა სკოლის მმართველის რეზოლუციის შესაბამისად. სამართლებრივი აქტები, შემოსული და გასული კორესპონდეციები აღირიცხება კალენდარული წესის მიხედვით. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია შემოსული და გასული კორესპონდეციის, ბრძანებების წიგნის და აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოებაზე, ასევე თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებაზე.<br>ოფიციალური წერილები და სკოლის მიერ გამოცემული აქტები ფორმდება სპეციალურ ბლანკზე სადაც მითითებულია სკოლის დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლას შემუშავებული აქვს საქმის წარმოების წესი, მოწესრიგებული აქვს თანამშრომელთა ხელშეკრულებები და პირადი საქმეები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების წესით<br>• საკადრო და საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალებით<br>• ხელშეკრულებების ჟურნალებით |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ თანამშრომელთა პირადი საქმეებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | • პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის და სამედიცინო კაბინეტის ხელმისაწვდომობის მიზნით, სასურველია სამედიცინო კაბინეტი განთავსებული იყოს სკოლის პირველ სართულზე.<br>• სამედიცინო კაბინეტში ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პირველი დახმარების ინსტრუქცია/პროტოკოლი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანების შესაბამისად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ......................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის თანამშრომელთა რაოდენობა ახალი საშტატო განრიგით განისაზღვრა 74 საშტატო ერთეულით. მიმდინარე ეტაპზე ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის რაოდენობაა 16-ია. მათ შორის:<br><br>1 სკოლის მმართველი<br>1 სასწავლო პროცესის მენეჯერი (მოსწ. რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში დაემატება კიდევ 1)<br>1 ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი<br>1 ბუღალტერი<br>1 იურისტი<br>1 საქმის მწარმოებელი/მენეჯერი<br>1 სამეურნეო სამსახურის უფროსი<br>1 ექთანი<br>1 ICT სპეციალისტი (მოსწ. რაოდენობის მგაზრდის შემთხვევაში დაემატება კიდევ 1)<br><br>1 უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი (მოსწ. რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში დაემატება კიდევ 2) |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 1 ბიბლიოთეკარი (მოსწ. რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში დაემატება კიდევ 1)<br>3 დამლაგებელი (მოსწ. რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში დაემატება კიდევ 1)<br>1 დარაჯი (მოსწ. რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში დაემატება კიდევ 1) ახალი<br>საშტატო განრიგით სკოლა-კოლეჯში განსაზღვრულია 50 მასწავლებელი.<br>მიმდინარე 2019-2020 სასწავლო წელს სკოლაში დასაქებულია 38 მასწავლებელი, 6 შემცვლელი მასწავლებელი, 5 დამატებითი უფასო საგანმანათლებლო მომსახურების მასწავლებელი და 2 ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების მასწავლებელი. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები.<br>მათი უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლა-კოლეჯ პროგრესის სამსახურებრივ ინსტრუქციებში, ხელშეკრულებებში, ბრძანებით დამტიცებულ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, სკოლის დებულებაში.<br>სკოლას ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სახით. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები(დოკუმენტები, ინტერვიუ და სხვა).<br>• ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო საათბრივი ბადით;<br>• მასწავლებელთა დატვირთვის სქემით, 2019/2020 სასწ.წელი მეორე სემესტრი.<br>• ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგით; ☐ გაფორმებული ხელშეკრულებებით; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 38 ძირითადი მასწავლებელი |
| მოწვეული/მამიებელი | 6 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 3 |
| უფროსი მასწავლებლი | 21 |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| წამყვანი მასწავლებლი | 1 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | 38 პედაგოგი ჩართულია „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“. პირად საქმეში წარმოდგენილი განათლებისა და კვალიფიკაციის დოკუმენტაცია შეესაბამება ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. 6 მოწვეული/მაძიებელი, 3 პრაქტიკოსი, 21 უფროსი, 1 წამყვანი მასწავლებელი, 6 მასწავლებელს ჩაბარებული აქვს საგნობრივი კომპ.დადასტ. გამოცდა, 1 მასწავლებელს ჩაბარებული აქვს პროფესიული უნარები და ასწავლის ესპანურს. |
| | სკოლაში ხელშეკრულება გაფორმებულია 6 შემცვლელ მასწავლებელთან, მათგან 3 უფროსი, 3 მოწვეული/მაძიებელი მაწავლებელია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • პირადი საქმეებით<br>• გაფორმებული ხელშეკრულებებით |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...............................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში პედაგოგის მიღება ხდება გასაუბრების ან კონკურსის გზით. საკონკურსო პირობებს, კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს სკოლის მმართველი.<br><br>სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური ადგილის (საგნის ვაკანტური საათების) არსებობის შემთხვევაში, ვაკანსია შეივსება შიდა კონკურსის საფუძველზე. შიდა კონკურსით ვაკანსიის ვერშევსების შემთხვევაში, სკოლა უფლებამოსილია, გამოაცხადოს ღია კონკურსი. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...............................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე - (მასწავლებლის ვაკანსიის შემთხვევაში - www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე), ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს სკოლაში დასაქმებულთათვის ხელმისაწვდომ ადგილას.<br><br>სკოლაში ძირითადი მასწავლებლისათვის დროებით შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, სკოლის მმართველი უფლებამოსილია დროებით არმყოფი პირის ჩანაცვლების მიზნით, ვაკანტური ადგილი შეავსოს კონკურსის გამოცხადების გარეშე.<br><br>შიდა და ღია კონკურსების ეტაპებია:<br><br>ა) საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა; ბ) გასაუბრება;<br><br>გასაუბრებით მოწმდება კანდიდატის პედაგოგიური, დიდაქტიკური და საგნობრივი კომპეტენცია.<br><br>კომისიის მუშაობის წესი განსაზღვრულია სკოლის მმართველის ბრძანებით.<br><br>სამუშაოდ მიღებულ ყველა დასაქმებულთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება კანონმდებლობით დადგენილი წესით. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ......................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლაში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად ინახება წახალისების (მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელი), დისციპლინური სახდელების, სახდელის მოხსნისა და გათავისუფლების შესახებ ბრძანების ასლები, ავტობიოგრაფია/CV, ფოტო-სურათის, პირადობის მოწმობისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების, სერტიფიკატების ასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).<br><br>თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლისა) ხდება სკოლის ვაკანსიით დაინტერესებული პირის მიერ სკოლაში განცხადების (ზეპირი ან/და წერილობთ) წარდგენით და სკოლის სკოლის მმართველთან გასაუბრების საფუძველზე. სკოლის მმართველის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე. დასაქმებულს უფლება აქვს შეთავსებით ეკავოს სხვა თანამდებობა და ასრულებდეს ანაზღაურებად სამუშაოს, თუ ამ სამუშაოს შესრულება არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. სხვა დამსაქმებელთან მუშაობის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია საქმის კურსში ჩააყენოს სკოლის მმართველი. შეთავსება დასაშვებია სკოლის მმაერთველის თანხმობის საფუძველზე, რომლის დროსაც განისაზღვრება დასაქმებულის განსხვავებული სამუშაო დრო. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • N1 ბრძანებით (13/02/202) დამტკიცებული შპს ამერიკული მაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯპროგრესის დებულებით<br>• სკოლის შინაგანაწესით |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი ამიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-კოლეჯში დასაქმებულ ყველა მასწავლებელსა თუ ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებები შეესაბამება შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას;<br>მიმდინარე 2020 წლის ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად, გასული წლის პერიოდში დადებული ხელშეკრულებები არ იყო დანომრილი, თუმცა ყველა ხელშეკრულება აღრიცხულია შესაბამის სარეგისტარციო ჟურნალში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებებით<br>• ბრძანება #2-622 ით დამტკიცებული საქმისწარმოების წესით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-კოლეჯ პროგრესის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მექანიზმები გაწერილია, როგორც ერთწლიან ასევე გრძელვადიან განვითარების გეგმაში. სკოლის მეორე სტრატეგიული განვითარების მიზანი სწორედ ადამიანური რესურსების პროფესიული განვიარებაა. სკოლა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის. მაწავლბლები ჩართულნი არიან „მასწავლებელთა განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“. სკოლაში არსებობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების როგორც გარე, ისე შიდა მექანიზმები. მასწავლებლები მონაწილეობენ მპგეც-ის ორგანიზებულ ტრენინგებში, საგანმანათლებლო კონფერენციებში.<br><br>სკოლის შიგნით მასწავლებელთა პოფესიულ განვითარებას უზრუნველყოფენ კათედრები. კათედრებზე წარმოდგენილი იყო მასწავლებელთა სადემონსტრაციო გაკვეთილების გეგმები. ასევე აქტიურად იყენებენ „კრიტიკული მეგობრის“ მიდგომას და წარმოდგენილია მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ამსახველი ჩანაწერები. სკოლაში ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს გააჩნია სქემის შესაბამისი სტატუსი გადანაწილებულები არიან სქემის შესაბამისი საფეხურების მიხედვით; |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის ერთწლიანი და ექვსწლიანი სტრატეგიული განვითრების გეგმებით<br>• სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრებით  კათედრის პორტფოლიოებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმის შესავალ ნაწილში განსაზღვრულია სკოლის კულტურის მახაისათებელები, ღირებულებები და განვითარების საორიენტაციო მიმართულებები,რომელიც ემსახურება თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნას და ხელს უწყობდეს როგორც მოსწავლეებს, ასევე სასკოლო პერსონალს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და რეალიზებაში. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის ფუნქციები გაწერილია დებულებით. მის შემადგენლობაში არიან:<br>• სკოლის მმართველი;<br>• სკოლის იურისტი;<br>• საქმისმწარმოებელი; |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სასწავლო პროცესის მენეჯერი;  მოსწავლე;  მშობელი.<br>საბჭოს საქმიანობის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების მიზნით რეფორმების დაგეგმვის, რეფორმების განხორციელების, რეფორმის მიზნით მომზადებული სასკოლო რეგულაციების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება.<br><br>სკოლაში ასევე წარმოდგენილია დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც არიან:<br>• ხარისხის მართვის მენეჯერი<br>• იურისტი<br>• სამეურნეო სამსახურის უფროსი;<br>• 2 მასწავლებელი;<br>სკოლის ვებგვერდზე განთავსებული სიახლეებიდან ნათლად ჩანს, თუ რა აქტივობებს ანხორციელებს სკოლა და რამდენადაა სასკოლო საზოგადოება  ჩართული ამ პროცესებში.<br>ვიზიტის პერიოდში კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული ვითარების გამო ექსპერტებს ვერ მოგვიხერხდა გასაუბრება მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან, რათა  გაგვეხორციელებინა თვისებრივი კვლევა ამ  დეტალების უკეთ დაზუსტების მიზნით.<br>შემოვიფარგეთ ადმინისტრაციასა და ტექპერსონალთან გასაუბრება-ინტერვიუირებით. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ადმინისტრაციასა და ტექპერსონალთან გასაუბრება-ინტერვიუირებით.<br>• სკოლის ვებგვერდით: http://www.americanhighschool.edu.ge |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |

| | |
|---|---|
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

## X. თანდართული დოკუმენტაცია

1. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის სასკოლო საათობრივი ბადე.

2. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის სქემა 2019-2020 ს/წ, მეორე სემესტრი.

3. სასკოლო სასწავლო ცხრილი 2019-2020 ს/წ, მეორე სემესტრი.

4. შეთანხმება 06.01.2020 წლის იჯარის ხელშეკრულებაში შეტანილი დამატებების შესახებ.

5. ფოტომასალა (24 ფოტო).

გვერდების რაოდენობა: 88 გვ

ქ. თბილისი

თარიღი: 14/04.2020 წ.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.